საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N59 2017 წლის 21 მარტი ქ. თბილისი

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე – „ჯავახაძე საქართველოს წინააღმდეგ“ 2017 წლის 24 იანვარს გამოტანილი განჩინების აღსრულებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადის დასაფინანსებლად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამოუყოს 4 375 (ოთხი ათას სამას სამოცდათხუთმეტი) ევროს ეკვივალენტი ლარი.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ჩანაწერი №1

გიორგი კვირიკაშვილი